EU Information Centre
PARLIAMENT OF GEORGIA

ევროპის დროით

ევროკავშირის საინფორმაციო
და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველოს პარლამენტში

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

დეკემბერი 2010 №12 (22)

7 დეკემბერს ბრიუსელში საქართველო–ევროკავშირის თანამშრომლობის საბჭოს მე–11 სხდომა გაიმართა

ქართულ მხარეს ხელმძღვანელობდა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბელგიის სამეფოსა და ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში, ევროკავშირთან საქართველოს მისიის ხელმძღვანელი სალომე სამადაშვილი, ხოლო ევროპულ მხარეს ევროკავშირის მომავალი თავმჯდომარე ქვეყნის, უნგრეთის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი ჟოლტი ნემეტი წარმოადგენდა.

ევროპული მხარე მიესალმა საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიერ 23 ნოემბერს ევროპარლამენტის წინაშე გახმოვანებულ ცალმხრივ განცხადებას ქვეყნის დეოკუპაციისა და ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად ძალის გამოუყენებლობის შესახებ.

ევროპულმა მხარემ ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი მხარს უჭერს საქართველოს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ საზღვრებში, საჭიროდ მიიჩნევს ქმედით ნაბიჯებს ნდობის აღსადგენად და სათანადო ღონისძიებების გატარებას მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების უზრუნველსაყოფად.

ქართულმა მხარემ აღნიშნა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ევროკავშირის მონიტორინგის მისიის, როგორც ადგილზე უსაფრთხოების ხელშეწყობის ერთადერთი საერთაშორისო ინსტრუმენტის არსებობის მნიშვნელობა და მისი მანდატის სრულყოფილად განხორციელების მიზნით ოკუპირებულ ტერიტორიებზე შეღწევის აუცილებლობა.

მხარეებმა აღნიშნეს რუსეთის მხრიდან 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობა.

ინფორმაციას თანამშრომლობის საბჭოს მე-11 სხდომის შესახებ უფრო ვრცლად შეგიძლიათ გაეცნოთ შემდეგ მისამართზე: http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=30&info_id=13158

ევროკალენდარი

17 – 20 იანვარი

ევროპარლამენტის პლენარული სესია და კომიტეტების შეხვედრა.
(სტრასბურგი, საფრანგეთი)

18 იანვარი

ეკონომიკურ და ფინანსურ საქმეთა საბჭოს ყოველთვიური შეხვედრა.
(ბრიუსელი, ბელგია)

26 – 28 იანვარი

რისკების შეფასების მეორე საერთაშორისო კონფერენცია.
(ბრიუსელი, ბელგია)

საკონტაქტო ინფორმაცია:

ევროკავშირის საინფორმაციო და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველო, თბილისი 0118
რუსთაველის გამზირი 8
საქართველოს პარლამენტი, C კორპუსი, ოთახი 126
ტელ.: (995 32) 92 37 03
ელ. ფოსტა: euinfocentre@parliament.ge

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი
საქართველო, თბილისი 0118
რუსთაველის გამზირი 8
ტელ.:(995 32) 28 17 08; (995 32) 28 13 92
ფაქსი: (995 32) 28 13 49
ელ.ფოსტა: europa@parliament.ge

დეკემბრის დაიჯესტი

2011 წლიდან ევროკავშირი საბავშვო ბოთლებში ბისპენოლის (Bisphenol A) ნაერთს აკრძალავს

ევროკავშირის აღმასრულებელი კომისიის დადგენილების თანახმად, 2011 წლიდან ევროკავშირი საბავშვო პლასტიკურ ბოთლებში ბისპენოლის ორგანული ნაერთის გამოყენების აკრძალვას გეგმავს. 2011 წლის ივნისიდან ევროკავშირის ქვეყნებს სურთ უკანონოდ გამოაცხადონ პოლიკარბონატის ნაერთის შემცველი საკვებისათვის განკუთვნილი ბოთლების მანუფაქტურა და აკრძალონ მისი გაყიდვა და იმპორტი. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ევროკომისიის, ევროპის სურსათის უვნებლობის სააგენტოსა და წევრი სახელმწიფოების მწარმოებელთა ხედვებისა და განსჯის შედეგად.

საქართველო ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეს შეუერთდება

2010 წლის 2 დეკემბერს საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ. ამ დოკუმენტით საქართველო ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეს უერთდება. ამასთანავე ხელშეკრულების დადება ხელს უწყობს ახალი ავიაკომპანიების შემოსვლას ქართულ საავიაციო ბაზარზე. ეს დოკუმენტი დადებითად იმოქმედებს თვითმფრინავით მგზავრობის ფასის ფორმირებაზე და ამ სფეროში ხარისხისა და მომსახურების გაუმჯობესებაზე.

ხელშეკრულება ძალაში შევა მას შემდეგ, რაც ხელმომწერი მხარეები მის რატიფიცირებას მოახდენენ.

საქართველოს მოქალაქეებს უფლებათა ევროკავშირის ქვეყნების ვიზის მიღება

ევროპარლამენტმა საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის ხელშეკრულებების რატიფიცირება მოახდინა. ამ ორ დოკუმენტს უახლოეს ხანებში ევროკავშირის საბჭო დაამტკიცებს. რატიფიცირების პროცესის დასრულების შესახებ ორივე მხარის შეტყობინებიდან ორ თვეში დოკუმენტები ძალაში ერთდროულად შევა.

ხელშეკრულება სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ საქართველოს მოქალაქეებს უადვილებს ევროპის ქვეყნებში შესასვლელი ვიზის მიღების პროცედურებს. ამის გარდა, საკონსულო მოსაკრებელი ამჟამად არსებული 60 ევროდან 35 ევრომდე შემცირდება. ამასთანავე გადასახადისგან მთლიანად გათავისუფლდება პირთა გარკვეული კატეგორია, მათ შორის ბავშვები, ევროკავშირში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების ოჯახის წევრები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. სულ ვიზების მიღების პროცედურა საქართველოს მოქალაქეთა 22 კატეგორიისათვის მარტივდება. სავიზო რეჟიმის გამარტივების ხელშეკრულება ეხება ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოს, გაერთიანებული სამეფოსა და დანიის გარდა, ზემოხსენებული ქვეყნები ჯერ მზად არ არიან საქართველოსთან ითანამშრომლონ აღნიშნულ სფეროებში.

ხელშეკრულება რეადმისიის შესახებ განსაზღვრავს მონაწილე მხარეთა ვალდებულებებს და ადგენს ევროკავშირის ქვეყნებში არალეგალურად მყოფი საქართველოს მოქალაქეების უკან დაბრუნების წესებსა და ვადებს.

საქართველოს მონაწილეობა აღმოსავლეთ პარტნიორობის მინისტრიალში

დეკემბერის თვეში ბრიუსელში გამართულ მინისტერიალში საქართველოს დელეგაციას საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე ხელმძღვანელობდა.

შეხვედრაზე შეფასდა ერთი წლის განმავლობაში ინიციატივის განხორციელების კუთხით მიღწეული პროგრესი და განისაზღვრა შემდგომი ნაბიჯები.

მინისტერიალის დასკვნით დოკუმენტში აღნიშნულია „აღმოსავლეთ პარტნიორობის სტრატეგიული მნიშვნელობა, როგორც ევროკავშირსა და პარტნიორ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების გაღრმავებისა და გაძლიერების საშუალება.“

ევროკავშირმა აღმოსავლელ მეზობლებთან (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა და უკრაინა) ურთიერთობების გაღრმავების მიზნით, აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის განხორციელება 2009 წელს დაიწყო.

ევროკავშირში დეკრეტული შვებულების ვადა არ გაიზრდება

ევროპარლამენტის მოთხოვნაზე დეკრეტული შვებულების 14-დან 20 კვირამდე გაზრდისა და მისი სრული ანაზღაურების შესახებ, 6 დეკემბერს ევროკავშირის დასაქმების მინისტრმა უარი განაცხადა. ევროკომისიის იდეას დეკრეტული შვებულების გაზრდის შესახებ ბევრი სახელმწიფო სკეპტიკურად უყურებდა. ოქტომბერის თვეში ევროპარლამენტმა დეკრეტული შვებულების ვადის გაზრდას დაუჭირა მხარი, მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანელი პოლიტიკოსები და ევროკომისია ამ იდეას მარცხს უწინასწარმეტყველებდნენ.

რწმენებათა სიგელები ფილიპ დიმიტროვისგან

2010 წლის 8 დეკემბერს საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ახლადდანიშნულმა ხელმძღვანელმა ფილიპ დიმიტროვმა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს თორნიკე გორდაძეს რწმუნებათა სიგელების ასლები გადასცა. ოფიციალური ცერემონიის შემდეგ გაიმართა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა, რომელზეც მხარეებმა ისაუბრეს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების უმთავრეს ასპექტებზე.

გამოყენებული წყაროები:
www.euractiv.com; www.euobserver.com; www.europeanvoice.com

დავით დარჩიაშვილი სიტყვით გამოვიდა დასავლეთ ევროპის კავშირის საპარლამენტო ასამბლეის/ ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის ასამბლეის სხდომაზე

30 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის ასამბლეის 59-ე სხდომაზე პარიზში იმყოფებოდა საქართველოს პარლამენტის დელეგაცია დავით დარჩიაშვილისა და გიორგი კანდელაკის შემადგენლობით.

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ დავით დარჩიაშვილმა პლენარულ სხდომაზე ისაუბრა 2003 წლის შემდგომი პერიოდის საქართველოს მიღწევებზე. ამასთანავე მან ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს მნიშვნელოვან ტერიტორიაზე კვლავ რჩებიან რუსეთის საოკუპაციო ძალები.

დავით დარჩიაშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის ასამბლეამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დიალოგს აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპას შორის. ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მიესალმა ასამბლეის გადაწყვეტილებას საქართველოსთან პარტნიორობის შესახებ.

ინფორმაციას დასავლეთ ევროპის ასამბლეის შესახებ შეგიძლიათ გაეცნოთ ოფიციალურ ვებ-გვერდზე : www.assembly-weu.eu

ევრობიბლიოთეკა

ევროკავშირის თემაზე გამოცემული უახლესი ლიტერატურა

“Bursting the Brussels Bubble“

(A book about corporate lobbying at the heart of the EU)
- გამომცემელი: ALTER-EU
- ავტორი:
- ენა: ინგლისური. 2010

“The Lisbon Treaty“

(New consolidated version of the Lisbon Treaty)
- გამომცემელი: Foundation for EU Democracy
- ავტორი: Jens-Peter Bonde
- ენა: ინგლისური.

“The European Union and Global Social Change A Critical Geopolitical-Economic Analysis“
- გამომცემელი: Routledge
- ავტორი: Jozcef Borocz
- ენა: ინგლისური.

წიგნების ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ: http://eubookshop.com/1

ევროსტატისტიკა

ევროპელთა აზრი ქვეყანაში სიღარიბის მაჩვენებლის შესახებ

2010 წელი ევროკავშირში გამოცხადებული იყო სიღარიბესთან და სოციალურ გარიყულობასთან ბრძოლის წლად.

დეკემბერში ევროკავშირის საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრმა გამოაქვეყნა მონაცემები ევროკავშირში სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის მაჩვენებლის შესახებ.

როგორც ცნობილია, 84 მილიონი ევროპელი ცხოვრობს სიღარიბის ზღვარს მიღმა და განიცდის სერიოზულ სირთულეებს დასაქმების, განათლების, სოციალურ დაცვასა და სხვა ყოფით საკითხში.

გამოკვლევამ ცხადყო, რომ ევროპელებს სიღარიბეზე სხვადასხვა წარმოდგენა აქვთ. გამოკითხულთა 26%-მა აღნიშნა, რომ ისინი თავს ღარიბად თვლიან, თუ მათი შემოსავალი იმდენად მცირეა, რომ არ ეძლევათ საშუალება სრულად მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ეს შედეგები არსებითად არ შეცვლილა 2009 წლის გამოკითხვის შემდეგ, როდესაც გამოკითხულთა 24%-მა იგივე შეხედულება გამოთქვა. ამავე დროს 24%-თვის სიღარიბე განიხილებოდა როგორც სოციალურ დახმარებებსა და შემოწირულობებ-ზე დამოკიდებული ცხოვრება. 18% მიიჩნევს, რომ ადამიანი ღარიბია, თუ მისი შემოსავალი მინიმალურ საარსებო ზღვარზე დაბალია. 17%-ის თანახმად, ღარიბად ის პირი უნდა ჩაითვალოს, ვისაც არ ძალუძს არსებობისთვის საჭირო ძირითადი საქონელის შეძენა. 2009 წლის გამოკითხვით სიღარიბეზე მსგავსი შეხედულება მოსახლეობის 22%-ს ჰქონდა.

წლევანდელი მონაცემებით, რესპოდენტთა 76%-ს მიაჩნია, რომ მის ქვეყანაში სიღარიბე ფართოდაა გავრცელებული. შარშანდელი მონაცემებით მსგავს აზრს 73% იზიარებდა. სიღარიბის გავრცელების მაჩვენებელი განსხვავდება ევროკავშირის ქვეყნების მიხედვით. ასე მაგალითად, შვედეთში იგი არის 33%, ხოლო რუმინეთში 96%. შედარებით მაღალია ეს რიცხვი უნგრეთში (95%), ბულგარეთში (93%), ლატვიაში (91%), პორტუგალიაში (86%) საფრანგეთში (85%) და ესპანეთში (75%).

გამოკითხულთა აზრით არსებობს სიღარიბის “სოციალური” და “პირადი” მიზეზები. უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი და დაბალი შემოსავალი განიხილება, როგორც სიღარიბის უმთავრესი “სოციალური” მიზეზი, ხოლო განათლების ნაკლებობა და არასაკმარისი კვალიფიკაცია სიღარიბის უმთავრეს “პირად” მიზეზად სახელდება. შესაბამისად, სიღარიბის რისკის ჯგუფში მოხვედრის მაღალი ალბათობა უმუშევრებზე, ასაკოვან და დაბალი განათლების მქონე პირებზე მოდის.

ისევე როგორც 2009 წელს, წლევანდელი მონაცემებითაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილს (89%) მიაჩნია, რომ მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა გადადგას სათანადო ნაბიჯები სიღარიბის დასაძლევად.

განვაგრძობთ დაიჯესტის წინა ნომრებში (იხ. "ევროპის დროით" 2010 წლის N1, N2, N3, N4, N9,N10, N11) დაწყებულ რუბრიკას - განათლება ევროპაში და გაწვდით ინფორმაციას სასწავლო სტიპენდიის შესახებ.

ვორვიკის უნივერსიტეტის სამაგისტრო სტიპენდიები 2011–2012 სასწავლო წლისათვის

დიდი ბრიტანეთის ვორვიკის უნივერსიტეტი და საერთაშორისო განათლების ცენტრი აცხადებენ კონკურსს ერთწლიანი სამაგისტრო სტიპენდიის მოსაპოვებლად ვორვიკის უნივერსიტეტში. სტიპენდია ფარავს მგზავრობის, უნივერსიტეტში სწავლისა და ცხოვრების ხარჯებს არა უმეტეს 12 თვისა.

სასტიპენდიო განაცხადები მიიღება შემდეგ სპეციალობებზე:

- შემოქმედებითი და მედია კომპანიები;
- გლობალური მედია და კომუნიკაცია;
- საერთაშორისო კულტურული პოლიტიკა და მენეჯმენტი;
- გენდერული თანასწორობა და საერთაშორისო განვითარება;
- სოციალური კვლევა;
- ინგლისური ლიტერატურა;
- მართლწერა;
- კინო და სატელევიზიო სწავლებები;
- ქიმია და სამეცნიერო მოღვაწეობა;
- სამეცნიერო კვლევები და კომუნიკაცია;
- საერთაშორისო განვითარების სამართალი და ადამიანის უფლებათა დაცვა.

განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაა 2011 წლის 31 იანვარი.

ლია საზოგადოების ფონდი და ედინბურგის უნივერსიტეტი აცხადებენ კონკურსს ერთწლიანი სტიპენდიის მოსაპოვებლად შემდეგ სამაგისტრო პროგრამებზე 2011–2012 წლებში:

სასტიპენდიო განაცხადები მიიღება შემდეგ პროგრამებზე:

- პოლიტიკური სწავლებანი (MSc in Policy Studies);
- ნაციონალიზმის სწავლებანი (MSc in Nationalism Studies);
- პოლიტიკური თეორია (MSc in Plitical Theory);
- სოციალური კვლევა (MSc in in Social Research);
- სოციალური ანთროპოლოგია (MSc in Social Anthropology);
- შედარებითი საზოგადოებრივი პოლიტიკა (MSc in Comparative Public Policy);
- გლობალური ჯანდაცვა და საზოგადოებრივი პოლიტიკა (MSc in Global Health and Public Policy);
- ჯანდაცვის უთანასწორობა და საზოგადოებრივი პოლიტიკა (MSc in Health Inequalities and Public Policy);
- ჯანდაცვის სისტემები და საზოგადოებრივი პოლიტიკა (MSc in Health Systems and Public Policy).

განცხადების წარდგენის ბოლო ვადაა 2011 წლის 1 თებერვალი.

შვედეთის უფსალას უნივერსიტეტის სტიპენდიები სამართალმცოდნეობაში

შვედეთის უფსალას უნივერსიტეტი აცხადებს სადოქტორო სტიპენდიების პროგრამას სამართალმცოდნეობის მიმართულებით. სასწავლო კურსისათვის გამოყოფილია ოთხი სტიპენდია. პროგრამის ფარგლებში კანდიდატს ევალება სადოქტორო კვლევის განხორციელება სამართალმცოდნეობაში.

სათანადო დოკუმენტაცია წარდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ან შვედურ ენებზე.

განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაა 2011 წლის 1 მარტი.

ზემოთ ჩამოთვლილი სასწავლო სტიპენდიების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ შემდეგი ვებგვერდი www.iliauni.edu.ge ან მიმართეთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ სერვისცენტრს – თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N32, ოთახი N219-220, ტელ: (832) 29 47 11

euinfocentre@parliament.ge

FM 102.4 "ევროპის დროით ირინა სერსვაძესთან ერთად."

ყოველ შაბათს უსმინეთ გადაცემას
" ევროპის დროით ირინა სერსვაძესთან ერთად "
საქართველოს რადიოს
პირველი არხი

კონრად ადენაუერის სახელობის
ფონდის დაფინანსებით
"ევროპის დროით"
იბეჭდება საქართველოს
4 რეგიონულ გაზეთში

Konrad Adenauer Stiftung

ნომერზე მუშაობდნენ: ირინა სერსვაძე, თეა ფარიელაშვილი, თამარ ჭელიძე, ქეთევან გუნიავა.

"ევროპის დროით" ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ვებ-გვერდზე: www.eu-committee.ge